2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის პირველი წლის სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდის გადავადების შესახებ

ვინაიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანების მეორე დანართით დამტკიცებული ,,სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის" მე-5 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების მიზნით, აბსოლუტური რანჟირების დოკუმენტის გამოცემა არ მოხდა დადგენილ ვადებში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სამაგისტრო საფეხურის პირველი წლის სტუდენტთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში სწავლის საფასურის გადახდის ვადა მითითებული იყო ზემოთმითითებული მინისტრის ბრძანების შესაბამისად, სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინების მიზნით,

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ა(ა)იპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის საფეხურის პირველი წლის სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადახდის საბოლოო ვადაა 2012 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

2. დაევალოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსს, თამარ ცაგარეიშვილს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის პროგრამა ,,არგუსის" მეშვეობით გაცნობა.

3. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, ბრძანების ასლები მიაწოდოს სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ფინანსურ სამსახურს და უნივერსიტეტის ფაკულტეტებს.

რექტორი **გიგი თევზაძე**